

## COVID-19-ის ვაქცინა: მითები და ფაქტები

COVID-19-ის ვაქცინაციის დაწყებას საზოგადოების დიდი ნაწილი სიხარულით შეხვდა. სამწუხაროდ, ვაქცინებისა და მათი შექმნის ირგვლივ ბევრი ცრუ ინფორმაცია გავრცელებული; ამიტომ, გადაწყვეტილების მიღებისას, მნიშვნელოვანია მითების გამიჯვნა ფაქტებისგან.

### მითები

1. **მითი:** COVID-19 ვაქცინა საფრთხის შემცველია მისი სწრაფად შექმნის გამო. .... 2
2. **მითი:** COVID-19-ის ვაქცინა შეცვლის ჩემს ღნმ-ს. .... 2
3. **მითი:** COVID-19-ის ვაქცინა იწვევს მძიმე/მწვავე გვერდით მოვლენებს, როგორცაა, მაგალითად, ალერგიული რეაქციები. .... 2
4. **მითი:** მე უკვე გადავიტანე COVID-19; შესაბამისად, არ მჭირდება ვაქცინაცია ..... 2
5. **მითი:** COVID 19-ის ვაქცინის გაკეთების შემდეგ ნიღბის ტარება აღარ დამჭირდება ..... 2
6. **მითი:** ვაქცინაციის შედეგად შეიძლება დაავადდე COVID 19-ით..... 3
7. **მითი:** ვაქცინაციის შემდეგ ტესტირებისას ვიქნები კოვიდ დადებითი..... 3
8. **მითი:** არ მივეუბნები რისკის ჯგუფს, რომელშიც შესაძლებელია COVID-19 რთულად მიმდინარეობდეს; ამიტომ არ მჭირდება ვაქცინაცია. .... 3
10. **მითი:** მთავრობა მოსახლეობას ავალდებულებს ჩაიტარონ COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაცია ..... 3
11. **მითი:** ვაქცინა ყველას არ ეყოფა. .... 3
12. **მითი:** COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაციის შემდეგ ხშირია გვერდითი მოვლენები .. 4
14. **მითი:** ქრონიკული დაავადების მქონე ადამიანებმა, მათ შორის ონკოლოგიური დაავადებების მქონე პირებმა ვაქცინაციისგან თავი უნდა შეიკავონ. .... 4
15. **მითი:** ვაქცინის ერთი დოზაც საკმარისია..... 4
16. **მითი:** ვაქცინა დაკავშირებულია 5G ინტერნეტთან ..... 5
17. **მითი:** COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინამ შეიძლება გამოიწვიოს უნაყოფობა..... 5

**1. მითი:** COVID-19 ვაქცინა საფრთხის შემცველია მისი სწრაფად შექმნის გამო.

**რეალობა:** COVID-19-ის ვაქცინა მართლაც რეკორდულად მცირე დროშია შექმნილი, რაც უპრეცედენტო თანამშრომლობისა და ინვესტიციების შედეგია; ვაქცინა შეიქმნა უსაფრთხოების ყველა სტანდარტის დაცვით.

**2. მითი:** COVID-19-ის ვაქცინა შეცვლის ჩემს დნმ-ს.

**რეალობა:** COVID-19-ის ვაქცინა ვერ შეცვლის თქვენს დნმ-ს. პირველი ვაქცინები, რომლებიც დამტკიცდა გადაუდებელი გამოყენებისათვის, შეიცავს საინფორმაციო რნმ-ს [messenger RNA (mRNA)]. იგი უჯრედებს აძლევს ინსტრუქციას შექმნას „სპაიკ-ცილა“, რომელიც COVID-19-ის ზედაპირზე გვხვდება. როდესაც იმუნური სისტემა ამოიცნობს სპაიკ-ცილას, იწყება იმუნური რეაქცია ანტისხეულების გამომუშავებით. ეს პროცესი ასწავლის ადამიანის ორგანიზმს როგორ დაიცვას თავი მომავალი ინფექციისგან. mRNA არ შედის უჯრედის ბირთვში, სადაც ინახება ჩვენი დნმ (გენეტიკური მასალა). mRNA ორგანიზმიდან გამოიღვენება, როგორც კი თავის ფუნქციას შეასრულებს.

**3. მითი:** COVID-19-ის ვაქცინა იწვევს მძიმე/მწვავე გვერდით მოვლენებს, როგორცაა, მაგალითად, ალერგიული რეაქციები.

**რეალობა:** ვაქცინის კლინიკური კვლევებისას ზოგიერთმა მონაწილემ აღნიშნა ისეთივე გვერდითი მოვლენები, როგორც ვლინდება სხვა ვაქცინის შემთხვევაშიც, მათ შორის კუნთების ტკივილი, შემიცვლება, თავის ტკივილი. შესაძლოა, უკიდურესად იშვიათად, ზოგიერთ ადამიანს გამოუვლინდეს მძიმე ალერგიული რეაქციები ვაქცინაში გამოყენებული ინგრედიენტების მიმართ. ალერგია არ წარმოადგენს ვაქცინაციის აბსოლუტურ უკუჩვენებას. მითუმეტეს, რომ ახალი მაღალტექნოლოგიური ვაქცინები ნაკლები ალერგენობით ხასიათდებიან. ვაქცინაციამდე, ექიმი, გამოკითხვით საზღვრავს რაიმე ტიპის ალერგიული რეაქცია თუ ჰქონია ასაცრელს ცხოვრების მანძილზე და, მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, განსაზღვრავს აცრისა და ალერგიის შესაძლო რეაქციის რისკსა და სარგებელს.

**4. მითი:** მე უკვე გადავიტანე COVID-19; შესაბამისად, არ მჭირდება ვაქცინაცია

**რეალობა:** COVID-19-ის დაავადების გადატანის მიუხედავად ვაქცინაციის ჩატარება რეკომენდებულია, ვინაიდან ამ ეტაპზე მეცნიერებისათვის უცნობია დაავადების გადატანიდან რა პერიოდით ნარჩუნდება ბუნებრივი იმუნიტეტი. საერთაშორისო მტკიცებულებებით, კოვიდგადატანილი ადამიანების აცრა რეკომენდებულია გამოჯანმრთელებიდან 3-6 თვეში. თითოეული ქვეყანა თვითონ ადგენს ამ პერიოდს.

**5. მითი:** COVID 19-ის ვაქცინის გაკეთების შემდეგ ნიღბის ტარება აღარ დამჭირდება

**რეალობა:** ნიღბის ტარება, ხელების დაბანა და ფიზიკური დისტანცირება აუცილებელია, სანამ ადამიანების საკმარისი რაოდენობა არ აიცრება.

ამ ეტაპზე, ინფექციისაგან დაცვის საუკეთესო საშუალება ჩვენთვის და ირგვლივ მყოფი ადამიანებისთვის უკვე არსებული პრევენციული წესებისა და რეგულაციების დაცვაა. რაც უფრო მეტი ადამიანი აიცრება, მით უფრო მეტი ინფორმაცია დაგროვდება, რათა მეცნიერებმა ზუსტად განსაზღვრონ, თუ რამდენად ხანგრძლივია ვაქცინით ან ბუნებრივი გზით მიღებული იმუნიტეტი.

**6. მითი:** ვაქცინაციის შედეგად შეიძლება დავავადდე COVID 19-ით

**რეალობა:** თქვენ ვერ დაავადდებით COVID 19-ით ვაქცინაციის შედეგად, რადგან ვაქცინა არ შეიცავს ცოცხალ ვირუსს!

**7. მითი:** ვაქცინაციის შემდეგ ტესტირებისას ვიქნები კოვიდ დადებითი.

**რეალობა:** COVID-19 სადიაგნოსტიკო ტესტები ადასტურებს ვირუსის არსებობას ადამიანის რესპირაციულ სისტემაში. შესაბამისად, ვინაიდან ვაქცინა არ შეიცავს ცოცხალ ვირუსს, ტესტი ორგანიზმში მის არსებობას ვერ დაადასტურებს. თუმცა, შესაძლებელია, ადამიანის ინფიცირება და, შესაბამისად, ტესტის მეშვეობით ინფიცირების დადასტურება მოხდეს მანამ, სანამ ვაქცინა სრულად მოასწრებს იმუნური პასუხის გამოწვევას.

**8. მითი:** არ მივეკუთვნები რისკის ჯგუფს, რომელშიც შესაძლებელია COVID-19 რთულად მიმდინარეობდეს; ამიტომ არ მჭირდება ვაქცინაცია.

**რეალობა:** მიუხედავად იმისა, რომ არ ხართ რისკ-ჯგუფში, შესაძლებელია დაინფიცირდეთ და ინფექცია გაავრცელოთ მაღალი რისკის მქონე ადამიანებში; ამიტომ, სახელმწიფოს მიერ ეტაპობრივად მოხდება პრიორიტეტულ ჯგუფებში შემავალი ადამიანების, რომლებიც ყველაზე მეტად არიან COVID-19-ის მძიმე ფორმის განვითარების რისკის ქვეშ, ვაქცინაცია. როდესაც ვაქცინები უფრო ხელმისაწვდომი გახდება, ვაქცინაცია რეკომენდებული იქნება უფრო ფართო საზოგადოებისათვის, როგორც COVID-19-ის საწინააღმდეგო უსაფრთხო ალტერნატივა.

**9. მითი:** COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაცია სავალდებულო იქნება ყველა მოქალაქისათვის.

**რეალობა:** COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაცია ნებაყოფლობითია. თუმცა, ვაქცინაცია ინდივიდუალური უფლება და საყოველთაო პასუხისმგებლობაა!

**10. მითი:** მთავრობა მოსახლეობას ავალდებულებს ჩაიტარონ COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაცია

**რეალობა:** COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაცია ნებაყოფლობითია. ჯანმრთელობის ექსპერტები და ჯანდაცვის სფეროს სხვა წარმომადგენლები მოსახლეობას მოუწოდებენ ჩაიტარონ COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაცია. რაც უფრო მეტი ადამიანი იქნება აცრილი, მით უფრო სწრაფად დაუბრუნდება საზოგადოება ცხოვრების ჩვეულ რიტმს.

ამ ეტაპზე დაგეგმილია, რომ სახელმწიფოს მიერ ეტაპობრივად მოხდება COVID-19-ის მძიმე ფორმის განვითარების რისკის ქვეშ მყოფ პრიორიტეტულ ჯგუფებში შემავალი ადამიანების ვაქცინაცია. როდესაც ვაქცინები ყველასათვის ხელმისაწვდომი გახდება, ვაქცინაცია რეკომენდებული იქნება უფრო ფართო საზოგადოებისათვის, როგორც COVID-19-ის საწინააღმდეგო უსაფრთხო ალტერნატივა.

**11. მითი:** ვაქცინა ყველას არ ეყოფა.

**რეალობა:** მსოფლიოში ვაქცინის შეზღუდული რაოდენობის ხელმისაწვდომობის გამო, გამოიყოფა პრიორიტეტული ჯგუფები, რომელთაც დაინფიცირების, გართულებებისა და

სიკვდილობის ყველაზე მაღალი რისკი აქვთ. ვაქცინების წარმოების ზრდასთან ერთად, ვაქცინა ხელმისაწვდომი იქნება ყველა მსურველისათვის.

**12. მითი:** COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაციის შემდეგ ხშირია გვერდითი მოვლენები

**რეალობა:** COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაციის შემდეგ ინექციის ადგილას გარკვეული სახის ტკივილი ან გაღიზიანება, ასევე მცირედი გვერდითი მოვლენები სავსებით ნორმალურია. ვაქცინაციის შემდგომი რეაქცია თითოეული ადამიანისთვის ინდივიდუალურია. რამდენიმე დღის განმავლობაში შემცივნება, დაღლილობა ან სხეულის ტკივილი იმის მანიშნებელია, რომ ორგანიზმი იმუნურ პასუხს გამოიმუშავებს.

**13. მითი:** ბუნებრივი იმუნიტეტი გაცილებით უსაფრთხოა, ვიდრე COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინის მეშვეობით გამოიმუშავებული იმუნიტეტი

**რეალობა:** ზოგიერთი დაავადების ბუნებრივად გადატანის შემთხვევაში შეიძლება გამოიმუშავდეს ხანგრძლივი იმუნიტეტი, მაგრამ ეს ამავედროულად ნიშნავს, რომ გადაიტანოთ ამ დაავადებასთან დაკავშირებული სირთულეები.

COVID-19-ის გადატანის შემთხვევაში, ორგანიზმის ბუნებრივი იმუნური პასუხი შესაძლოა უფრო ხანმოკლე გამოდგეს, განსხვავებით ვაქცინაციის შედეგად გამოწვეული იმუნიტეტისა. იმ შემთხვევაში, თუ ბუნებრივი იმუნიტეტის შექმნის გზას ავირჩევთ, საზოგადოებას ჩაკეტილ მდგომარეობაში ყოფნა გაცილებით ხანგრძლივად მოუწევს, დაავადებით კიდევ უფრო ბევრი ადამიანი გარდაიცვლება და მოსახლეობის ჯანმრთელობა სერიოზული რისკის ქვეშ დადგება.

**14. მითი:** ქრონიკული დაავადების მქონე ადამიანებმა, მათ შორის ონკოლოგიური დაავადებების მქონე პირებმა ვაქცინაციისგან თავი უნდა შეიკავონ.

**რეალობა:** საერთაშორისო კლინიკური კვლევების მონაცემებზე დაყრდნობით ჯანდაცვის ექსპერტები მიიჩნევენ, რომ COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინა უსაფრთხოა და მას სხვადასხვა ონკოლოგიური დაავადებების მქონე პირების მნიშვნელოვანი დაცვის უზრუნველყოფა შეუძლია. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რადგანაც ონკოლოგიური დაავადებების მქონე პირები COVID-19-ით გამოწვეული გართულებების მაღალი რისკის ქვეშ არიან.

ექსპერტი-ონკოლოგების რეკომენდაციით, ონკოლოგიური დაავადებების მქონე პირებმა COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინა უნდა გაიკეთონ იმის მიუხედავად, მკურნალობის რა ეტაპს გადაიან. თუ თქვენ ხართ პაციენტი ან უახლოეს წარულში დაასრულეთ ონკოლოგიური დაავადების მკურნალობა, COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინის გაკეთება განიხილეთ თქვენს მკურნალ ექიმთან.

**15. მითი:** ვაქცინის ერთი დოზაც საკმარისია

**რეალობა:** Pfizer-BioNTech და AsreaZeneca ვაქცინები საჭიროებს ორ დოზას და ორივე დოზის მიღება მნიშვნელოვანია. თუ ვაქცინის მეორე დოზას არ გაიკეთებთ, ინფიცირებისგან სრულად დაცული არ იქნებით.

**16. მითი:** ვაქცინა დაკავშირებულია 5G ინტერნეტთან

**რეალობა:** ვაქცინებსა და ინტერნეტ ქსელებს შორის ურთიერთკავშირი არ არსებობს. ვირუსები არ მოძრაობენ (არ გადაეცემიან) რადიოტალღებისა და მობილური ქსელების საშუალებით. COVID-19 იმ ქვეყნებშიც გავრცელდა, სადაც 5G ინტერნეტი არ არის.

**17. მითი:** COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინამ შეიძლება გამოიწვიოს უნაყოფობა

**რეალობა:** არ არსებობს მეცნიერული მტკიცებულება, რომ COVID-19-ის ვაქცინამ შესაძლოა გამოიწვიოს უნაყოფობა.